



„ღმერთმა  
სამშობლო მიცაცხლე,  
მშინარეც  
ამას ვღუდუნებ!“

# გაზრდი „კავკასია“ ათი წლისაა

## კავკასია Kavkasia

პროგრული, ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №3-4 (67-68) მარტი-აპრილი 2013 წელი შანი 1 ლარი

### ტარიელ ხერხელაური

#### მის უზენდობას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

ბრძანე, მოძღვარო, გონებაგ ერის.  
უნდა ვღუდეთ და უნდა ვიფრთხილოთ?  
სულელებს გვირყვნის და გვიწამლავს მტერი,  
ვითმინოთ?!


როცა ჩვენს თვალწინ წმინდანებს  
რყვნიან,  
უწმინდეს შუბლებს ფურთხით ბილწავენ,  
თუ შენთვის მკერდს არ მიფუშვერ ტყვიას,  
სამშობლოც, სატად რისთვის გიწამე.  
ბრძანე, მოძღვარო, დღეს ერის გული  
შენს გონებაზე მიბმული ფეთქავს.  
ბრძანე, მოძღვარო, გაიმცვრა სული,  
დაააჟადა შიშმა და კეთრმა.  
ბრძანე, მოძღვარო, ნათელს, ისეც მწიანს  
შემოაძარცვეს კალთა ქარებმა,  
ბრძანე, მოძღვარო, სისხლი სისხლის წილ,  
დაგუდოთ ზღვარი ამ მოკრძალებას!

თორემ სამშობლოს თაგზე გვაქცევენ,  
სამშობლოს ჩვენსას — უფლის მშვენიერებას,  
აღარ უშველის მერე არც ცრემლი  
ჩვენს აღდგომას და აღმოცენებას.  
ბრძანე, მოძღვარო, ვგაგარ საძვალეს  
და ყველა ნერფი არის გამწვდარი,  
მოძღვარო, დროშა გამოაბრძანე,  
საქართველოსთვის ღოცვით დაგვიძარი!  
ბრძანე, ბრძენკაცო, ჯერ კიდევ დროა,  
ვიდრე ძარღვებში სისხლი მოძრაობს,  
ვიდრემდის ცრემლებს სისხლის გემო აქვთ,  
ვიდრე სიკვდილი გვიღიხინს, მოძღვარო!  
ვიდრე ქართულ ჯიშს აქცევენ არცრად,  
გადაუჭერენ მკერდზე არტახებს,  
მთლად ეს სამყარო ქცეულა ნაცრად,  
თუ საქართველო ამიბარტახეს.



თუშეთი

# ჩართო ვასსპისებით ძართულ მიწა-წყალს?



ქართულ ცნობიერებაში დიდი ხანია ფიგურირებს ცნობილი ფრაზა: „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, რაც იმას ნიშნავს, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველომ სხვადასხვა დამპყრობელთა შემოსევების შედეგად, სხვა უამრავ დანაკარგთან ერთად, ტერიტორიული შემცირებაც განიცადა. მაგალითად, როდესაც დავით აღმაშენებელმა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული საქართველო და ამიერკავკასია თურქ-სელჯუკებისაგან გაწმინდა და მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფო შექმნა, მაშინ ჩვენი ქვეყანა შვიდი სამეფოსაგან შედგებოდა, რაც კარგად არის ჩამოყალიბებული დავით აღმაშენებლის ტიტულატურაში: „მეფე აფხაზთა, მეფე ქართველთა, მეფე კახთა, მეფე რანთა, სომეხთა შახანთა და შარვანშახთა.“

დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდგომ, აღნიშნულ საზღვრებში, მისმა შთამომავლობამ კარგა ხანს შეინარჩუნა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მაგრამ თემურ ლენგის რვაგზის შემოსევამ, ირანისა და თურქეთის განუწყვეტელმა თავდასხმებმა და კიდევ სხვა მრავალმა საგარეო გართულებებმა, საქართველოს ტერიტორიული შემცირება გამოიწვია. ეს პროცესი კი საბჭოთა რუსეთის ჩამოყალიბების დროს იმით დამთავრდა, რომ ლენინის რუსეთმა ახერხებულა მისცა კახეთის აღმოსავლეთით უმდიდრესი მიწა-წყალი, რომელიც დღეს ცნობილია ბელაქანის, კახისა და ზაქათალის რაიონების სახელწოდებით, ანუ პერეთით (თემურ ლენგის სახელწოდებით კი, საინგილოთი), სულ ახლახანს კი, დავით გარეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე, მსგავსი დანაშაული ჩაიდინეს ქვემო ქართლშიც, საქართველოს უძველესი მიწა-წყლის – სომხეთის რესპუბლიკისთვის გადაცემა: როლესი, სამშვილდესი, ბაბაკისა და სხვა.

აღნიშნულის მსგავსადვე საბჭოთა რუსეთმა მითვისა საქართველოს ნიკოფსიად წოდებული ისტორიული მიწა-წყალი. ეს ყოველივე იმით დამთავრდა, რომ თავისუფალმა საქართველომ ხელისუფალთა უნდაობითა და გამყიდველობით დაკარგა აფხაზეთი და შიდა ქართლი, ანუ ცხინვალის რეგიონი, რომელიც დღეს რუსეთს აქვს დაპყრობილი.

ჩვენ, საქართველოს ისტორიის ამ წარსულის მოკლე მიმოხილვა იმიტომ განვიზრახეთ, რომ თანამედროვე ქართველობამ იცოდეს, რა გზა განვილო ჩვენმა ქვეყანამ, წინაპრებმა, როგორ მოიგერიეს მრავალი ჯურის ურიცხვი მტერი და მართალია საკმარის შემცირებული, მაგრამ მაინც შეინარჩუნეს საქართველო და ქართველობა.

თავისუფალმა საქართველომ, იმ დროს, როდესაც მას მრავალი ეროვნულ-პატრიოტული ღონისძიება უნდა გაეტარებინა და წინაპართა მსგავსად მიეხედა მტერთა შემოსევებით მრავალგზის გატანჯული ქვეყნისათვის, დაიწყო უცხოელთათვის

საქართველოს ისტორიის მკვლევართაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-სამართალმცოდნეობის სპეციალისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მალქაშვილი მალქაშვილი**, რომელიც თუშეთის სოფელ ჩილოში დაიბადა და თელავის რაიონის სოფელ ლალისწყაროში გაიზარდა. იგი უამრავი სამეცნიერო ნაშრომისა და უმნიშვნელოვანესი წიგნების ავტორი გახლავთ. ამ ბოლო წლებში ტელევიზორით გადაცემაში მისი გამოკვლევა ერეკლე მეფის სატახტო ქალაქ თელავზე და მისი მეფობის დროინდელ მოვლენებზე, რომლებსაც მოსახლეობაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ბატონი ვალერიანი არის აგრეთვე საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი.


ქართული მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით დიდი ალიაქოთია ატეხილი კახეთის რეგიონში. სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება ბატონი ვალერიანი.

მიწა-წყლის მიყიდვის ანტიეროვნული, ანტიქართული, ყოვლად დასავლობი საქმიანობა. საქართველოს პრესის და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით, ჩვენთვის თანდათან ცნობილი ხდება, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში, თვით სააკაშვილის ნებასურვილით, ამჟამად

აღნიშნულ მთელ ტერიტორიაზე გამალებული მშენებლობა გრძელდება...

რას გვეტყობოდა ამის შესახებ და სინამდვილეში რას უნდა ემსახურებოდეს ამ ტერიტორიის გასხვისება?

– ჩემი დამოკიდებულება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რა თქმა უნდა აღ-



საქართველოს არცერთი კუთხე არ არის დარჩენილი, რომ იქ უცხო ტომელებისთვის არ იყოს მიყიდული ასეული ჰექტრობით მიწები, თანაც ყველაზე მნიშვნელოვანი, თვალწარმტაცია, უხეშოსაფლადიანი, ბარაქიანი ადგილები ჩალის ფასად.

სხვადასხვა დანიშნულებიდან გამომდინარე, უცხოელების მიერ მოწონებული ადგილები, მათზე გაიცა და სწორედ ის მიწები და დღესთვის მათ ხელში.

ისტორიულად ცნობილი ვართ ტოლერანტობით, მსგავსი თვისება, პლანეტის არც ერთ ერს არ ახასიათებს. ამიტომ არის, რომ ამჟამად საქართველოში ცხოვრობენ მრავალი ერისა და ეროვნების ადამიანები. მათ ქართველები ყოველგვარ მშვიდობიან პირობებს უქმნიან და ისევე ექცევიან, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას.

ქართველობა დღესაც ამ ტერიტორიის დამცველია და ყველა შემოსულ უცხოელს თბილად ხვდება, მასპინძლობს... მაგრამ ქართველი ხალხი აღმოუთებელია, მოსვენება აქვს დაკარგული იმ ხელისუფლების ანტიეროვნული საქმიანობით, რაც გამოიხატება ისედაც მცირე მიწიანი ქვეყნის ძვირად ღირებული მიწა-წყლის გასხვისებით რომელსაც ეპატრონებიან ჩინელები, ინდოელები, არაბები, ირანელები, თურქები და სხვები.

– ბატონო ვალერიან, როგორც ცნობილი ვახდა კახეთში, სახელდობრ, თელავის რაიონის სოფლების: სანიორის და ჯუღანის დასავლეთით, სოფელ ფშაველთან მიმდებარე ჭიჭაკის ხეობის აღმოსავლეთით შენდება ეგრეთ წოდებული არაბული სოფელი, დაახლოებით 700-800 არაბული ოჯახისათვის, უკვე 6 ორსართულიანი შენობაა წამომართული და

ბათ, ყველა პატრიოტი ქართველის მსგავსად, ბევრისთვის არის აღმაშფოთებელი და ყოვლად დაუშვებელი.

არაბები საქართველოში თავის დროზე თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში ბატონობდნენ. ეს რა თქმა უნდა სხვა დრო იყო, მაგრამ ქართველ ხალხს არ ავიწყდება არაბ დამპყრობელთა მიერ ქვეყნის თავზე დატეხილი მრავალი უბედურება. ეს საქართველოს ისტორიაში სრულყოფილად არის წარმოდგენილი.

ჩვენ, თანამედროვენი შორს ვართ იმისგან, რომ დღევანდელი არაბები, რომლებიც კახეთში მკვიდრდებიან და ვინ იცის, სხვაგანაც, მათ რა თქმა უნდა, დამპყრობლური პოლიტიკა არ ამოძრავებთ, მაგრამ ისინი ვითომ და გარკვეული დროით ფიქრობენ ჩვენი მიწა-წყალით სარგებლობას, რისთვისაც სოლიდურ თანხას იხდიან...

– ვითომდა არ ამოძრავებთ დამპყრობლური პოლიტიკა? აბა რას ნიშნავს ამდენი არაბის შემოდენა ქვეყანაში, ისინი უკვე ჯოგებდნენ დადიან... მაგრამ ბატონო ვალერიან, რა გარანტიაა, თუ ისინი ოჯახებით ჩამოსახლდებიან, უკან დაბრუნდებიან ამ სამოთხიდან იქ, უდაბნოს მაგვარ ადგილებში?

– არა, ქართველი ერი ვერც შეეგუება და ვერ გაითავისებს, ქვეყნისა და ერის დამლუპველ პოლიტიკას, სხენებულ პოლიტიკას აწარმოებდა სააკაშვილის ავადსახსენებელი რეჟიმიც. სისტემა, რომელმაც ყოველგვარი ეროვნული, რაც კი საქართველოს გააჩნდა, თითქმის ყველაფერი გაყიდა, გაასხვისა, ზოგი რუსეთზე და ვის არ მისცა ქვეყნისათვის საჭირო ენერგორესურსი, ტყეები, ახლა რომ სულ უცხო ტომელები ფლობენ.

– შევარდნაძის მთავრობაში ყოფნისას

რომ სიამაყით გვაზივებდა და ამბობდა, 100-მდე ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს საქართველოში, ეს საზეიმოა თუ უბედურება, განდა შერეული ოჯახები და შემცირდა სუფთა ქართული ოჯახების რიცხვი, მაშინაც თავზე დაგვახსენენ უცხო ტომელები, ეს დიდი უბედურება არ არის? ამიტომ არის, რომ ერთი პირი არ გვაქვს და ზშირად წინააღმდეგობაში ვვარდებით.

– ეს სხვა თემაა – ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ...

ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც მძიმე ეკონომიკურ წინაშე მოექცნენ, უცხოეთს შეაფარეს თავი და იქ მათთვის არავის არ მიუცია მიწები და ესა თუ ის მნიშვნელოვანი ადგილები.

სილატაკეს გაქცეული მოსახლეობა მხოლოდ იქაური ოჯახების მომვლელად და როგორმე საარსებო საშუალებების მოსაძიებლად მიდიან.

უცხოელთა ასეთი მკვიდრი უბნების გაჩენა საქართველოში, ეს ხომ ტრაგედიაა ჩვენი უკვე მცირერიცხოვანი ერისათვის!

– რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ჩვენი ქვეყნისთვის დამლუპველ ზემოქმედებულ მოლაპატრობი, გამყიდველ პოლიტიკას?

– საქართველოს მრავალჯერ დასდგომია ყოფნა-არყოფნის ფაზი, რადგან პლანეტაზე არ მოიძებნება სხვა რომელიმე ქვეყანა, რომ იმდენი დამპყრობელი შემოსეოდეს, რამდენიც ჩვენ.

წინაპრები კი, მთელი ქართველი ხალხი, სახელოვანი მეფეების წინამძღოლობით ახერხებდნენ მრავალი ჯურის მტერთა შემოსევების მოგერიებას, დამარცხებას და დამოუკიდებლობის, თავისუფლების შენარჩუნებას.

როცა მტერთა შემოსევების შედეგად საქართველო აღმოჩნდებოდა სრული კატასტროფის ზღურბლთან, მაშინ ქვეყანას ბედად გამოუჩნდებოდა ხოლმე შესატყვისი მფარველი, წინამძღოლი თუ მეფე-მხედარმთავარი, რომელთა წინამძღოლობითაც საქართველო ახერხებდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, დანგრეულის აღდგენას და აღმშენებლობას.

როცა დაღუპვის პირამდე მისულ ქართველს მოეკვინა ფარნავაზი, მან მტერთაგან დაპყრობილი ქართული მიწა გაწმინდა, განათავისუფლა და თითქმის მთელი საქართველო გააერთიანა. მან საფუძველი დაუდო ფარნავაზიანთა დინასტიას და შემდგომ მეექვსე საუკუნიდან ბაგრატიონთა დინასტიით საქართველო აგრძელებს ცხოვრებას.

ფარნავაზის მსგავსად განვებამ და უფალმა საქართველოს მოუხვედია დავით აღმაშენებელი, რომელმაც საქართველო იხსნა თურქულჯუკთაგან. ოთხასი წლის განმავლობაში დაკარგული თბილისი კვლავ აღდგა საქართველოს, სატახტო ქალაქად და შეიქმნა ვიქტორიული ქართული სახელმწიფო.


მონღოლთა ასწლიანი ბატონობის უღელი ბრწყინვალედ წოდებულმა გიორგი მეხუთემ დაამსხვრია, გააცამტვერა დას გააერთიანა სამ პოლიტიკურ ერთეულად დაშლილი საქართველო.

გიორგი მეხუთემ თითქმის მიუახლოვა საშინაო და საგარეო მდგომარეობა დავით აღმაშენებლის თანამედროვე საქართველოს, მსგავსმა მოვლენებმა, ე.ი. ქვეყნის სათავეში გაჭირვების ფაზის, რომელიმე სახელოვანი მამულიშვილის მოხვლით, სიკვდილის პირას მისული ქვეყანა დროდადრო აღსდგებოდა ხოლმე და იწყებდა ახალ ცხოვრებას. ასე ხდებოდა მომდევნო საუკუნეებში, თუ გნებავთ მე-18 საუკუნეში, ძნელბედობის ფაზის, როცა ლეკიანობა, ოსმალთა და ყიზილბაშობა საქართველოს სრულ მოსპობას უქადა. სწორედ ჩვენს მიერ აღნიშნულ წინაპართა

ბაბიქიჯიუბა მე-3 ბუხილუა



# უშენო განთიადებით...



ქართველი მწერლები, ჟურნალისტები: იზა ჯაჭვამე, მაყვალა გონაშვილი, ეთერ თათარაძე, კობა არაბული, ამირან არაბული, ბალათერ არაბული, ივანე წიკლაური, ტარიელ ხარხელაური, გივლა ჭინჭარაული, სიმონ ბალახაძე, მურღვა არდოტელი, ერეკლე საღლიანი, ცოტნე ალბუთაშვილი, ელზა მეტრეველი, ნანა ჯაფარიძე, ნინო მეღაშვილი-ჩოხელი. მზია ხეთაგური, ლეილა არაბული, ქეთევან დოლიძე, მარინე თუქთუმაძიძე, ომარ თურმანაული, ტრისტან მასხური, ზეზვა მეღულაშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, კობა ბედოიძე, იავო არაბული, მაყვალა ლიპარტელიანი, შერმადინ ქალდანი, მირიან ფაღლიანი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ნიჭიერი კინომსახიობი და პოეტი

**მურთაზ არაბული**

რა თავზარდამცემი დილა გამოთენდა იმ დღეს, ჩემო მურთაზ, როცა შევიტყვე შენი ამქვეყნიდან წასვლის ამბავი.

ჩვენი ერთად ყოფნის ოცმა წელმა უცბად გაიზარდა. დედაშენი, დაღლილი და განაწამები, შენი იმედი და სიხარული, იქ, თიანეთის წმინდა და ულამაზეს მიწაზე განისვენებს...

ასე მოკლე სიცოცხლე საწუთრომ შენთვის რატომ ინება? და მინც, ვიდრე იყავი, დრომ ვერა დაგაკლო რა... ძილში მოგეპარა სიკვდილი და მძინარს გაჯობა, დაუწოქებლო ხევსურო!

წახვედი და თან წაილე დარდინი, ნატანჯი და კეთილი გული, ჩანაფიქრები, აუხდენელი ოცნებები და შესაძლოა მონანიების სურვილიც პოეტო და ქართული კინოხელოვნების ზიარო. შენი როლები სულკურთხეული, დიდებული ჩვენი მეგობრის – გოდერძი ჩოხელის ულამაზეს ფილმებში, მუდამ გაუხუნარი დარჩება და თაობებს გადაეცემა შენი სულიერი თუ გარეგნული მშვენიერებით.

არც სიყვარული მომკვდარა, ის თან წაილე და მეც დამრჩა სიცოცხლის დასა-

ლიერამდე, პირთამდე სავე შენი ხილვებით, სისულელეებით, მშვენიერებით...

ე მაგ დიდრონი და ლამაზი თვალების სითბო, ჩემს სევდიან გულს დიდხანს გაკვებდა.

შენ აღარა ხარ, და შენს მაგივრად, მე ვეფერები უკუნეთ დამეს, და უშენობით მოწყვნილი ვერონის მთვარე გაკვალულ გზაზე მონატრების სივრცეს მიაპობს...

იძინე მშვიდად, სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც ჩვენი მარადიული სიყვარულით...

მარადისობაში ხარ, მურთაზ, შენ და დედაშენს მშობლიური და ულამაზესი ვერონა – გომბორის მიწა უნდა დაგვცოდოდ და რა დასანანია, ასე რომ არ მოხდა...

უნაზესი სიყვარულით მიუხვალ დედა – მზექალას და როგორ გაიხარებოდა!

შენივთებული შენი ლამაზი სული და სხეული, იმ დღეს ქანდაკებდა ჩამოქნილიყო და გაუკვალავი გზისკენ მიემართებოდა...

აქ კი, განთიადები უშენოდ შემოიფრქვევიან ჩემს ფანჯრებში...

**მარად შენი  
იზა ჯაჭვამე**


## გამეზვიდობები... მურთაზ!

„არავინ იცის ახლა ჩვენს შორის რომელი უფრო საცოდავია – შენ, ვისაც გულზე მიმიქევა გადევს, თუ მე, ვისაც გულით დამაქვს ეს დარდი“.

**კოსტანტინე  
ლორთქიფანიძე**

შენს ლამაზ სულზე მინდა დავწერო სიტყვა, გულიდან ამოხეთქილი, რადგან იყავი ასეთი სუფთა, ასე ალალი, ასე კეთილი! დაგვრჩა შეილები – შეილიშვილები თვალცრემლიანი, გულდაწყვეტილი, დარჩა ტკივილი, გულში ნაღველი, ნაფეხურების მრავალწერტილი... ვინ იფიქრებდა, ასე უეცრად სააქაოდან გაგვეცლებოდი, მზექალი დაგვხვდა ალბათ იმქვეყნად, ვისაც მარადფაშს ასე ელოდი. ამაყო სულო, ჩემო წარსულო, ადრე თუ გვიან, მაინც შეგხვდებით, ბოლო ერთია, და ამ იმედით გემშვიდობები, მაგრამ დროებით!..

**როინა ბაკურაშვილი**



## ლექსის და სიყვარულის ქასი!..

... ძალიან მიძნელდება მურთაზ არაბულზე მოსაგონარი წერილის დაწერა...

ძნელია, წარმოიდგინო, რომ ის აღარასოდეს შეგხვდება ქუჩაში, სახლში, ღონისძიებაზე, ანდაც სამეგობრო სუფრასთან აღარასოდეს გეტყვის ხევსურულ კილოზე: „რაკელ ხარ?!“ აღარ მოგეფერება მისთვის ჩვეული ღიმილიანი თვლებით... მას ხომ ძალიან უყვარდა სიცოცხლე, თავისიანები; ყველა, ვისთანაც გამოვლილი ცხოვრება აკავშირებდა; ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, მეგობრები, ბიძაშვილ-ნათესავები, კოლეგები, გარდაცვლილებიც და ცოცხლებიც...

მურთაზ არაბული ლექსის და

სიყვარულის კაცი იყო; ის ერთდროულად პოეტიც იყო და მსახიობიც და ეს გაორება მისი სულიდან მომდინარეობდა; ის მხოლოდ ლექსით და სიყვარულით ცხოვრობდა...

და მჯერა, მურთაზის ლექსი და სიყვარული მის შვილებში, შვილიშვილებში, მეგობრებში გადავა და გაგრძელდება. და ეს იქნება მურთაზ არაბულის მარადიული სიცოცხლეც!..

**ბალათმარ  
არაბული**

**ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი  
რედაქტორი,  
საქართველოს მწერალთა  
კავშირის თავმჯდომარის  
მოადგილე**

## ქმადნაუჩი

ის არ, ან ვერ ემორჩილებოდა ადამიანების მიერ განსაზღვრულ ცხოვრების წესებს, ვერ ჯდებოდა სტერეოტიპულ ზნეობრივ ჩარჩოებში და ყოველგვარი სტერეოტიპი მისთვის ისეთივე მიუღებელი იყო, როგორც ვიდაც „კარგად აღზრდილისთვის“ ღამე მოულოდნელად მოსული სტუმარი. თუმცა მისი მორალური კრედი იქნებ აღემატებოდა კიდევ ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ ეთიკის ნორმებს.

ის, ვერც პირმოთხოვის ღიმილს ირგებდა და ვერც დიდი პოეტის საბურველს. ყველა ხევსურული წესის დაცვით გაფიცული მძა იყო, ჩემი ერთადერთი მძაღლი იყო... ხან გებრაზობდი მასზე. ხანაც სიბრაზეს სიბრაღული ჩაანაცვლებდა – სიბრაღული იმის გამო, რომ ამ უნიჭიერესმა და ულამაზესმა გაუკაცმა ფეხი ვერსად მოიკიდა. ბუნების ლაღი შვილი იყო, არც არავის დაემორჩილებოდა და არც სხვას დაიმორჩილებდა... ერთი შემთხვევა მასხენდება, სამსახურში გამოძიარა, დიდხანს ვისაუბრეთ, მერე ბიძაშვილმა მომაკითხა და მურთაზმა მანქანამდე მიმაცილა.

მანქანის კარი  
გამოიღო და ჩემს

ბიძაშვილს ხუმრობით „დაემუქრა“, – „დადნაფიცს არავინ აწყენინოთ, თორემ ჩემთან გექნებათ საქმეო“... ასეთი იყო ჩემი „არანორმალური“

მურთაზ არაბული...  
კაცი, რომელსაც „მატილში, შატლივინებმა, შარი შამო(მ)სდეს შარაზე...“

კაცი, რომელიც ისე წავიდა, მიუხედავად არნახული გაჭირვებისა, მაინც ვერ გატუნა ცხოვრებამ...



(მარცხნიდან მარჯვნივ) მარინე თუქთუმაძიძე, თემურ ჩალაბაშვილი, იზა ჯაჭვამე, ჯიბო ლომაშვილი, მურთაზ არაბული, სიმონ ბალახაძე, თემურ შავლაძე,

კაცი, რომელსაც ყველა უყვარდა და სამაგიეროს არვისგან ითხოვდა...  
კაცი, რომელიც ყველა ჩვენგანისგან განსხვავდებოდა...

**მარინე  
თემთუმაძიძე**

## ბარისახლოსკენ

ცისპირტეხაა. ნისლი ბარბაცით აეტოტავა, აჭყა ამყ მთებს. ჰე-ჰეი, ნისლო,

მისხალ სადამდის, აი ეს მთები გადამატარე! ფხვდაფხვ მომღვეს

ჩემი აჩრდილი, აგჭარდები და ფეთიანდება. ჩუმი ალერსით ვიცი ამ დილით გზა დამილოცა

ღედის თვალებმა. შევხედავ სალგებს, გარდავიქმნები, დაგაყურადებ არაგვის ბუბუნს, თოთია, კოლა, ბიძა-შენები, ვიცი მელიან

ამ დღის მიწურულს. ვჭკარობ და ამ გზას

ველარ ვახანებ, გველეთის ჭალას

ავცდები როდის, ჩამისაფრდება ტიალი ღამე და არ მიმიშვებს ბარისახლოს. გონება: მაინც უნდა იარო! თუნდა გაგიხდეს

ღამე მოსისხლედ! გული: იარე, ადამიანო! იქნებ გზა-ჭალას

**მარინე მოვცილდით!  
მურთაზ არაბული**


მურთაზ არაბული

მზავროს ცნობა მხველით  
მტერიც ხსნიდა ყოველ  
მოზიკერს მხველით  
კვირის ბედი მოხილეს

მურთაზ არაბული დაიბადა 1955 წელს სსკრს სსკრის მსოფლიო სოფელ ველონში (გომბორი).

1972 წელს დასრულდა თბილისის მუსიკის სასწავლო სკოლა-ინსტიტუტი, 1983 წელს კი - საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი.

გაცემის თარიღი 2013 წლის 4 მარტი.



მურთაზ არაბული

აგდექი, ამეცა სიზმარი უშნო და სინუქში სინუქს ვიხმენ, ჭოტი გულისწორს

ცივილით უხმობს, პასუხს ვერ იღებს, ჩუმდება ისევ. არაგვს ამოჰყვა სტვენით ლეკადე, უკან დატოვა მთები სამხრეთის, რამდენი რამე ითქვა ჩემადე, ან კიდევ იტყვის შემდეგ რამდენი. ჰა, გაფერპკრთაღდა

შუქი ვარსკვლავთა და გადმოიქცა წეცა უძირო, წეგით, ხეგებში, ღამე გამქრალა... ამ სილაპაჯეს მინდა გუცქირო. ცხს შეგხედე და განაჭენები, მღვრიე ღრუბელი გადადიოდა, შორს, სიღურჯეში, ღურჯა ცხენებით გადაიქროლა გალაკტიონმა...

მური შამამდვმს შარაზე

შატილთან შატილიგნებმა შარი შამამდვმს შარაზე, მოყვასთან წადილით შებმა, გულის კარ ცივად ჩავრანზე, დამაჭარბებდეს კი ვითა, მეტანებოდნენ ძალაზე, შულამდე კინად მივიდა, საქმე რო იყო არაზე, შატილთან შატილიგნებმა შარი შამამდვმს შარაზე.

\*\*\*

ცეცხლი არ უნდა ჩავაქრო, ვერ გამტეხთ ტკბილის ენითა, მანდაგ ვიქნები, გაგა დრო, რახელაც გინდა ქენითა. საწუთრომ ვერა დამაკლო დღე-მუდამ მჯიღის ქნეგითა. ჩამაეს ნისლმა დამათრო, ამამდინარმა ქვენითა.

საპანო 54

სარეცხის თოკზე ჰკიდა ქარი, დააქვს უბნიდან უბანში ჭორი. მონაცრისფერო ამინდი არი, თვალსაწიერი ვიწრო და შორი.

ფერილი დედას

\*\*\*

არეული მაქვს, დედა, გზა-კვალა, დაგდიგარ, ვიყო თითქოს მძინარე, ბეცად მიღიმის კაცი მზაკვარი, გაკლავილია მღვრიე მძინარე, გადამეჩენა კლდიდან მერანი, გამიორგულდა ქალთა ფერია, ჩამსაფრებია ჟამი ვერანი, თვალსაწიერიც ბინდის ფერია. დატანჯულია სული ეული, ირგვლივ სიბილწე, შური, ჯალათი, დანომრილია ჩემი სხეული, რომ ვერ ვიგუე მონის ხალათი. შემომჯარვია კაცთა ავი წნე, გწევარ, ნარეკლის ნალი მიგია, დღეს მე ვარ, ვიცი, ტყვიის სამიზნე, სვალ კიდევ, ალბათ, სხვისი რიგია. დიდი ტყვიელი სულში ნაბანი, ამონეთქვამდე სისხლმა გაწმინდა, წამოიხურა სევდის ნაბადი და გაიზარდა ნისლში მთაწმინდა.

\*\*\*

ფრთამოტეხილი, ღამენათევი, სულამღვრეული და კვლავ ამაცი, გაკიდებული სალებს ბრჭყალებით იდგა სინუქე გარდამაგალი. ხეებს სამოსად ნისლი შეგნოდა და ლიცლიცებდა დილის რიჟრაჟი, უხილავ ხელით იკინებოდა დრე განწირული სიკვდილისათვის.

\*\*\*

მარტოკა დაძრვის ქარი ვიჟმაჟი, არაგინა ჩანს, მასთან იდაოს, დაჭირხლულია ლეგა რიჟრაჟი, თოვლის სიწმინდე ფარავს მიდამოს. ნერვის მომშლელი გრძელი სისინი ხერხემაღს ბურღავს და ტვინს აწყდება. სუფრასთან სხედან ახლა ისინი, ეხ, ბევრ მათგანზე გული დამწყდება! არ ედარდება ჯავრი სხვას სხვისი, ჩემსას ჯებირი უნდა გუშენო. აგსებულია სევდით სასმისი — ახალწლის დიდას გზგდები უშენოდ.

\*\*\*

გამოვალ გარეთ, ამეგები რუსთველს, გამინაწილებს მზე თავის სითბოს, გჩერდება წუთით, გაზაფხულს ვუსმენ, გასული წამთრის ქარებზე ვფიქრობ.

სად გადასახლდით შატილიონნი, რად მონანს ბჭენი შავ-ბნელი? აღარსად კაცი, პატრონი სოფლის, მტერ-მოყვარისად დამხვედრი. გამრავლებულია დეკა, ჭინჭარი, დივი, შუპყა და იელი, მუდამ მტერთ გულთა შესაშინარნი, არსად მოხანან გმირები. შესაბრალოსად გამხდარა მიწა მამული მოუნძობს მოყმეთ, ყველა სახლიდან, ნასახლარიდან, ფუძის ანგელოზი გოდებს...

დედას

ჩემი ღამაში სახლი, ჩემი პატარა ჭერო, ჩემი ჭაღარა დედა, ჯვარი დასწერე, ღმერთო.

არაბში

სულით არ იყო მეტის ამტანი; თუმც არ ჰქონია განზრახვა ავი. ვერ დაატია მთებში მან ტანი, გასხლტა და მტკვარში დაიხრხო თავი.

პეიტაშია

გამოკლებთ გზას და მივალთ ხევდახევ, დღეს ამ გრძელი გზით განაწამებნი, მოვედით, მოგვეცა ღამე ფენდაფენ, ერთგულ ძალივით დაწვა კარებში. თინას უხარის ჩვენი სტუმრობა, ეს სინარული გულს ნადებია, გაშალა სუფრა, დაგვსნა პურობად და შემოგვესწრნენ ტუჩა, ბერდია. უცებ სათქმელი ლექსად გაგექცა, დარჩეს ამ ღამეს ეპიტაფიად. არ გაპატია ტუჩამ ვალექსვა, გამოგვიქანა წკებლა კაფია. ბერდია მღვნივთ ვადა მოწიდა, ძმისწულს ჭირში ჰყავს ბიძა მაშველად, ეგონა, ტუჩას გადასწონიდა და ლხინი ამით უფრო დამშვენდა. კიდევ გვაწვდიან საფხე სასმისებს — ეს ერთი ყანწიც უნდა შასგაო! მერე ჭიშკრამდე გამოგვაციილეს, გამოგვატანეს ლექსი საგზაო.

მიწლიას /მამუკას/

მზე ეფერება, ხელს ართმევს შორით და ილიმება ჩემი მინდია, დიდი მუქ-ლურჯი კურცხალი ორი მზესა და აკვანს შორის ხიდა. მზე შენს თვალებში გაორებულია და ანაწილებს ღიმილით სითბოს, განხარებული დღეს მე ვარ შენით შენ გენაცვალე, მინდიაგ, შევილო!..

სურათი

ჩაეძინა ღელთანში მთვარეს და ბარბაცით ცისკენ იწევს ალი. დაემსგავსნენ ეს ხეები მთვრალეებს. აერია ღამეს გზა და კვალა, გაიწეწა, გაიფიფა თავი.

ბამარჯვება, მზეო!

თოთია ყანწს მაწვდის, საგსეა არაყით, ვიყუდებ ჯიხვის რქას, ამილო კანკალმა, „ნუ გზიზღავს, შენ გზარდას, ანწლია, გადასწი“. ავწიე, ცა ღურჯი, უძირო, კამკამა. შიშინით ერბოში იწვება ხინკალი, დავცალე მეორეც, ძარღვებმა შეიგრძნო, ვენთები, ვმალდებო, რაღაცა მინარის, გამარჯვება მზეო! უსახღვროდ კეთილო! ბანზე ვართ, ვსაუბრობთ, თავს ვიქცევთ სიმღერით, იცლებს ყანწები, ერთურთის მიმყოლი. ჩონგურის ღარებზე ცეკვავენ რითმები და ვაცხე წრიაბით ჰკიდა სტრიქონი. საქონი მიუდის ფერდაზე სამძიმარს, რა ვიცი, ან იქნებ კი არი მზექალი, აქ, მთაში, ყოველთვის ასეა, რას იზამ, სუყველა მიყვარს და სუყველას შევხარი! \*\*\*

სხვის ნათება მკრთალი, ჩამოწოლილა ბინდი, ეჭვით მიყურებს თვალი, მტანჯავს სიშორე დიდი. მოწიდეულია ნერვი, გამოცდა მერგო მკაცრი, აღარ მისხენებს ბევრი, სიმწრით კბილებში გავცრი. აცერებულია სივრცე — არვისგან ველი შეველას, თავისი უნდა მივცე მტერს და მოყვარეს, ყველას.

# ჯილდო, ბრძოლიც უფალმა არგუნა



**ლეილა ლევაშვილი** ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენში ანზორ და ქეთევან ლევაშვილების ოჯახში დაიბადა. ლეილა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მანდილოსანია, რაც მისი მამის, ცნობილი მოლექსის და თამაძის, კარგი მემკვიდრის და კეთილშობილი პიროვნების გენეტიკური კოდით გამოიხატება. ლეილა არაჩვეულებრივად მღეროდა, ამიტომ მისი ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის ასაკში იგი ცნობილმა ლოტარმა **პავლე დემურიშვილმა** თელავის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა კაპელის სოლისტად მიიწვია,

სადაც ათი წლის განმავლობაში მღეროდა და არაერთხელ საერთაშორისო თუ რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი გახდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ლეილა სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო – სადირიჟორო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, რომლის დამთავრების შემდეგ იმავე წელს მიიწვიეს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში **ანსამბლ „ორთველას“ სოლისტად**. 1985 წელს ლეილამ ჯერ თბილისის სულხან საბა-ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა, შემდეგ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქარ-

თული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. პარალელურად იგი გახლდათ თბილისის მუსიკალურ საზოგადოებასთან არსებული თეატრ „ვერნისაჟის“ სოლისტი, საიდანაც არაერთი კონკურსისა თუ საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახდა. იგი სტუდენტური ფესტივალის ოთხგზის ლაურეატია. ასევე ნორჩ პოეტთა კონკურსის გამარჯვებული. 1986 წელს ამერიკაკასიის სტუდენტურ ფესტივალზე ბაქოში სიმღერის დელოფად აღიარეს, სადაც დიდხანს გადიოდა მისი სიმღერის ჩანაწერი აზერბაიჯანის ცენტრ-ტელევიზიით. ლეილა ლევაშვილი საოცრად ლამაზი სიმღერების ავტორიც გახლავთ. მას საკუთარი სიმღერებით გაფორმებული აქვს რამდენიმე სპექტაკლი და ამ სიმღერით: „მე მამინ მოვალ, როცა აღარ დამელოდები“, საბჭოთა კავშირის დღის საინფორმაციო პროგრამა „120“ წუთში გამოვიდა მოსკოვის ცენტრ ტელევიზიით, სადაც გაზეთების გამოკითხვაში პირველი ადგილი დაიკავა. ეს ქალბატონი თავისი მრავალმხრივი ნიჭის გამო, მამინდელი საკავშირო განათლების მინისტრის და იმჟამინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით თბილისში გადაიყვანეს, სადაც მუშაობდა მამინდელ პუშკინის სახელობის ინსტიტუტში და აქვე ჩამოაყალიბა გოგონათა ანსამბლი. ასევე, პარალელურად სოლისტი იყო სხვადასხვა ანსამბლებშიც. ლეილა ლევაშვილს, როგორც ქართული ხალხური სიმღერის უბადლო შემსრულებელს, ძალიან აფასებდნენ უდიდესი კორიფეები: **კუკური ჭოხონელიძე** და **ჰამლეტ გონაშვილი**. მისი სიმღერები გოგონათა გუნდთან ერთად ჩაიწერეს იაპონელებმა და გამოსცეს კომპაქტ-დისკო. რამდენიმე წლის შემდეგ, იაპონელებმა კიდევ ჩაწერეს ლეილა ანსამბლ „წინანდალთან“ ერთად. 1995 წელს, ლეილა თელავში

დაბრუნდა, სადაც გააგრძელა მოღვაწეობა თელავის იაკო გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შემდეგ კი დაინიშნა ახმეტის კულტურის სამსახურის უფროსად, სადაც ცამეტი ნაყოფიერი წელი გაატარა. 2009 წელს ლეილა ლევაშვილს ახმეტელებმა გაცილებდა მოუწვეს, რისთვისაც ყველას დასწყდა გული. ეს არც არის გასაკვირი, მან დიდი „ხელწერა“ დატოვა ახმეტაში, შექმნა არაერთი ანსამბლი და იყო ბევრი საავტორო ღონისძიების ავტორიც. ამ წლიდან ლეილა ლევაშვილი კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში კულტურის საკითხებში მთავარ სპეციალისტად დაინიშნა. მან გრანდიოზული ღონისძიებით გააცოცხლა კახეთი: ილიაობა, ერეკლეობა, ქაქუცობა, ფრანგული დღეები, ყვავილების, მეჯლისი, ქორეოგრაფიული ფესტივალები და სხვა. ლეილა არაერთი ჯილდოსა ტიტულის ავტორია. 2002 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროში იგი წლის საუკეთესო კულტურის მუშაკად დასახელდა. ასევე მას მიანიჭეს „ხელოვნების ჭეშმარიტი ქომაგი“ ტიტული. იგი არის ღირსების ორდენის მფლობელი. ჰყავს ორი შვილი ანი და გიორგი. ლეილასთვის მაინც ყველაზე დიდი ჯილდო, რაც უფალმა არგუნა, ბებიობაა, მითუმეტეს რომ შვილიშვილები, როგორც ის ამბობს „სიმღერით ლაპარაკობენ“. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლეილა ლევაშვილის ქალიშვილი ანი მასურაძე უდიდესი მუსიკალური ნიჭით გამოირჩევა. დედა-შვილის, დეუტე კარგახანია გაიცილა მთელმა საქართველომ. ასევე იგი გამოირჩევა პოეტური ნიჭით. გთავაზობთ ლეილა ლევაშვილის ლექსებს.

იზა ჯაჭვამი

## ახმეტას

მოდის და ჩუმად დუღუნებს ჩვენთვის, ეს ალაზანი ტალღებ ლიცლიცა, სპეროზის მთებმა ნისლი გვესროლა ცა შემოდგომისფრად გაიცრიცა, ვეღარ ვერევი ამ მხრებით მტევნებს, ისმის მინდვრებში ვაზის ჩივილი ეს ახმეტაა, ჩვენი ახმეტა, თავის ღვინით და თავის ტკივილით, კვეტერა სიოს დალაღად გვაშლის, და ბახტრიონზე წარსული ბრწყინავს, პანკისში თორღვა პანკელის ციხე, ტანზე ისწორებს კიდევ ერთ დილას, ფშაგლებში რიჟრაჟს მოჰყვება მუნა. აქ ერთგულებაც იციან, იჭვიც, სათქმელს ლექსებად გეტყვიან უცბად დედის მუცლიდან დაყოლილ ნიჭით, თუშურ გარმონზე ნატინ-ნამღერი რამდენ სინარულს და ტკივილს გაცვკოს შენ გუჩვილობას როგორ შეგებდავ „დალაობაში“ ნატინებ კაცებს?! მთის ფერდობებზე აკრულია ცხვარი, ზვავქვეშ მდინარის რაკრაკი ისმის, ბალახზე ბროლად გაშლილა ცვარი კლდეებს ქუდებდად ახურავს ნისლი. თუშეთის მთებში, ჯადოსნურ მთებში, სადაც ქვასაც კი სული უდგია, დიკლო, შენაქო, ბოჭონა, ფარსმა, თითქოს ზეცადან ჩამოუდგიათ, აქ ყვავილების დაგათრობს სუნი, აქ მზეც სხვაგვარად ისწორებს ნაწნავს, თუ სიყვარულით ადუღდა გული გვირგვინი სწორედ აქ უნდა დაწნა, აქ უნდა გული მოიგო მისი,

ვისი თვალბეჭ გესროდა ქამანდს, გსურს ზეცას მისწვდე? მიჰყე მთის ტანზე ცხენის ფლოქვებით შემორტყმულ ქამარს,

შეები ქარებს, გაუძელ ყინვას და გამძლეობა გქონდეს მწყემსური, მიიღე ძმებად ქისტის და ოსი, სახლიკაცებად თუშ-ფშავ-ხევსური... რა ლამაზი ხარ, ჩემო ახმეტაგ, ხევიდან ტყემდე, მთიდან ბარამდე, ალაგვრდიდან გეწიოს ლოცვა სამარადეჟამოდ, დმერთი გფარავდეს.

## ჩემი მარანი


შეგატრიალე მარნის კარები, პატრონ ნაქები, აქ ყველაფერი იყო წმინდა, ალაღ-გლეხურად, და უფროს, უმცროს ქვეყნებს თავზე მძიმე სარქველები, როგორც ქუდები ნამუსისა, ისე ესურათ. აქ პაპანემის ტრიალებდა სპეტაკი სული და მამანემის ლექსის ბჭკარი ისევე ღვიოდა, მხოლოდ საწნახელს ჩამოეშვა უმწვეოდ ტუჩი დას დანესტილი ლაწვებიდან ცრემლი სდიოდა, ენატრებოდა ტკბილი ბადაგით დასვრილი ტანი, დას ყურძნის ჭყლეტით გახელებულ გაჭკაცთა ღვინა, ცარიელ ქვეყრში ჩამღერებულ ბადაგის ბანი და ამოგვებულ ყანყრატოდან პირველის მღერა, საგვე გოდრები ჩაკუშული შავი ყურძნით, და გამდიდრებულ პაპანემის საამო მღერა, სახლის დედა-ბოძს ჩასობილი მსხვილი ღურსმნები და ზედ ტყუბ-ტყუბად აჯავრული მტვენების წყება, კახრებზე მწკრივად ჩამომდგარი თინის დოქები, შიგ ჩაკიდული ძაბრი, როგორც გამშრალი ცური, უდედო ღვინის მოლოდინში თეთრი ბოცები და ნივრის წნილით გაჟღერითილი ქილების სუნი, საყრდენ კედელზე მიყრდნობილი რძის სადღვებელი, და აქეთ-იქით დაჭყეტილი საცრის თვალბეჭი, ზედაშეს ქვეყრი, ქალებსგან ხელუნლებელი და თეთრ ნაწნავად ჩამოშლილი ნივრის გალები.

თვალწინ დამიდგა სუფრის ტკბილი ჩამომთავრებით, ურმის კოფოზე ჩამომჯდარი დაღლილი დამე საგვე ქვეყრები წარა-მარა ამომთქნარებით, და საწნახელის ვალმონდილი მთვლემარე სახე-ახლა კი ბეღელს დასტყობია უკაცო ხელი, აქ არც კერია ძველებურად ალარა ღვინობს, საწნახელს, ქვეყრებს დასტყობიათ ნაღველის ფერი და ზედაშენში მხოლოდ დოქით ჩაუდგავთ ღვინო. მოგატრიალე პირუხუმლად კარები მძიმე, ცრემლიან თვალზე რწმენის სხივი მაინც კიაფობს, ფუძის სიყვარულს მოაკითხავს ოდესმე ვინმე რომ საწნახელი ძველებურად აახშიანოს.

## ჩემი სოფელი

წინ მომეგება ჩემი სოფლის თბილი ნიაგი და ჩემში რაღაც მიმოძებნა ურნი თვალბეჭით, ვეღარ იბოვავ, ვერც ქაჯანა, ვერც ქარიშხალა, სიყვარულით რომ მეძახოდნენ სოფლის ქალები. ნაცნობ ცაცხვის ქვეშ გაწოლილი მეჩხერი ჩრდილი, მხრების ტაატით აპყოლოდა ჩიტის გალობას, და ცაცხვის ტანზე აკოფრილი რუხი მკლავებით, ეძებდა ჩემში, შორს დარჩენილ ყმაწვილ-ქალობას. კვლავ გამახსენდა, ფენშიშველა მის ფესვზე ჯდომა, ჭქქა-ქუხილით ატანილი შიშის კანკალი, წევრის წვენიდან დალაქული ათივე თითი და გატენილი ჯიბეებით ნედლი კაკალით. ბლის კენწეროზე შეხუნძლული უბნის ბაღლები და ბებოს სხვენში მოპარული ტკბილი ნუგებარი, ნახირის მოსვლის მოლოდინში ჭრელი თავშლები, და საჭორაოდ გამოსული მთელი უბანი.

ბაბიქიჯაბა მ-7 ბპიხეზა



ცხოვრებაში. ჯუბა ლე-ბელი – იგივე ჯუბა გოგრიძიანი – საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის პროფეიონალი რეჟისორია.

პროფესიონალიზმი მოგვსენებათ პატრიოტიზმითაა, მას არც ასაკი აქვს და არც ეროვნება. მიუხედავად იმისა რომ იგი ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა, თავი დაგვამსსოვრა ყველას არაერთი საინტერესო გადაცემით. აქვე უნდა გავისწავლოთ იმდროინდელი მოძველებული აპარატურა და მწიბრი ტექნიკური აღჭურვილობის საპირისპიროდ მაღალი მოთხოვნის და მუშაობის არნახული ტემპი. ამ ყველაფერს თავს ვართმევდით მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისა და ნერვების ფასად და როგორც აღვნიშნეთ, უკვე ამ ყველაფერში ჩვენი პროფესიონალიზმი გვეხმარებოდა. ასეთი გადახვევა იმიტომ დამჭირდა, რომ (იმხანად ტელევიზიაში 2500 კაცი მუშაობდა) ერთმანეთის სიყვარულით თუ არა, ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობით მაინც ვიყავით განმსჭვალულნი. ჯუბა ლებელი ყოველივე ამის ფონზე დაუღალავი იყო სიკეთის კეთებაშიც, იმდენად, რომ მას ზედმეტ სახელად შეარქვეს „სიკეთე-გამომსახებელი“.

„აკვლავ მენატრები ტკივილამდე და მედარღები, ეს

მონატრება მირჩენია მაინც ყველაფერს, ზღვის ზურმუხტ ზოლებს გასდევს ფერი შენი თვალების, მზის სხივთა ხაზებს შენი თმები ააუღვარებს.“


როგორც ხედავთ, პოეტის სამყარო ძალიან სათუთი და მრავალფეროვანია: – ნაცნობია ადამიანური ტკივილებითა და განცდებით, მიმზიდველია ფერთა საოცარი აღქმით და მკითხველამდე ოსტატურად მიტანით.

ნათქვამია, ქალის, დიდი ხმაურის, აურზაურის გაჩუმება და ჩახშობა მხოლოდ და მხოლოდ დახვეწილ მუსიკას ძალუძს... ჩვენი აწეწილი, ყოველდღიური განსაცდელის სავსე ცხოვრებიდან თუ ვინმეს შეუძლია რამდენიმე საათით ლამაზი გზებით გვატაროს, როგორც ეს შეძლო ჯუბა ლებელმა თავისი პოეზიით, ისლა დავერჩენია, ტკივილების დაამბისათვის სამადლობელი სიტყვაც წამოგვცდეს... დასტურად რამდენიმე სტრიქონს მოვიხმობ: „როგორ მიყვარდი, რა ოცნებებით დამეს ვუთხვედით ცისფერ მირაჟებს, როგორ მიყვარდი, თქვენ კი დამშორდით და სხვის სიზმრებში გაირიყვარეთ“. ან კიდევ, ლექსიდან „შავი როლია“: „იების სურნელით გაჟღენთილ სამყაროს, არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული“.

ახალი კრებულის პრეზენტაცია შედგა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლმუზეუმში. დამწერე საზოგადოებამ მოისმინა და

მჭუხარე ტაშით გამოხატა თავისი აღფრთოვანება ამ ლექსები მიმართ. გაუღერდა ჯუბა ლებელის ლექსზე მაყვალა ზორბადაძის მიერ დაწერილი სიმღერა, რომელიც შესანიშნავად შეასრულა პაატა თედიაშვილმა. სიტყვაში გამოვიდნენ მხატვრები, მუსიკოსები, მწერლები, თვალსაჩინო მოღვაწეები და მაღალი შეფასება მისცეს პოეტის შემოქმედებას. საღამოს უძღვებოდა წიგნის რედაქტორი პოეტი მზია ხეთაგური. ამ საღამოზე კიდევ ერთხელ აღინიშნა ჯუბა ლებელის სტრიქონების უშუალოდ, რომელიც მისი ბავშვობიდან იღებს სათავეს რაჭის ულამაზეს სოფელში, ლეხი რომ ჰქვია:

„... მუხამეშურის ცივი ქარები,  
ჩემი რიონის მღვრიე ტალღები,  
ჭალები, ჩემი სოფლის ჭალები  
და საფლავები...  
ფასის მთა, გონა, ბუბა და შოლა,  
რასაც ვერასდროს ვერ დავივიწყებ...  
დარჩა  
სოფელში ჩემი ბავშვობა,  
ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე“...



## ჯილდო, ბომბოლიც ოჯალმა ატგუნა

ბურთის თამაშში გაყვლეფილი ნორჩი მუხლები და მაყვლის კრეფით დაკაწრული

წვრილი მკლავები,

ბაღნაში მყოფი დედაჩემი მუნღმოუღლეელი და მაძაჩემის სიყვარულით სავსე თვალები. ახლა კი თბილად შემოგმდგარვარ ნაცნობ ბილიკებს, აღარსად ისმის მოკისკისე ხმები ბაღლების და ჩემ კარებთან გადაბრეცილ ძველისძველ სკამზე ჩამომჯდარიყვანენ მონუტები შავი თავშულებით. შემომეგება დედაჩემის ნათელი სახე, უძამაჩემოდ დარჩენილი ბებერი ხარო, მე ყველა დროის სიკეთეც და სიამოვნებაც გნახე, ახლა დედა ვარ, და ბებია და ამით გხარობ.

### დაპარცხებული ვაალავ ნატყვიანს

შენ ახლა შორს ხარ და ვერ მოგწვდები, მაგრამ თან დამდეგს შენი სურნელი, მაგ ცეცხლის ალმა, მზის გულში ჩამწვა, მონატრება მკლავს განუკურნელი. ვეტრფი და ვხარობ, ვშფოთავ და ვჩქარობ და მკვებავს შენზე ფიქრი მალული, თაზისი ვარ, შენ რომ ეძებდი, შენს სხეულში ვარ გადაძალული. მე ფიქრის ტბა ვარ და ღურჯი ტანი მინდა სხეულზე გადაგაფარო, ვნების აღმურით დანამულ თმაში თრთოლვით თითები შემოგაპარო, ჩავერცხლილ თმაში, ვერცხლად ჩაგადნე და ჩემი წილი ფიფქი გაყარო, ხან გაგებუტო, ხან გაგაბრაზო, გულზე ნაღველი შემოგაყარო. ცეცხლს მივცე ყველას ნახადი ფარჩა, და ყველა სახე შენში წავშალო, ყველას გზას ეკალ-ბარდი ფარავდეს, ჩემსას გვირღია გადაგაშალო, რძისფერ ალიონს წასვლის სურნელი ნაზი ალერსით გადაგავიწყო, გადაგავიწყო ყველა შენგედრა და ყველაფერი ახლად დაიწყო... შენც შეგეყაროს, რაც მე შემყარე, რომ აღარ ვიყო ასე ეული, ცხრაკლიტულს ყველა კარი შესხენი და დაგვრჩი ასე კარშემტგრეული... შენ ახლა შორს ხარ და ვერ მოგწვდები, თუმც მონატრება უკვე მატყვია, თვალს ვერ ვუსწორებ ჩემ სიამაყეს, დაპარცხებული ვაალავ ნატყვიანს.

### თუშეთს

ისევე მეძახის შენი ნიღები, მთის სიო თმებში მეღაბუნება, კვლავ მონატრების ეშით ვივსები, კვლავ გაგუძლებ ალბათ ცდუნებას. დეკაზე ცვარი კიაფობს ნაზი და აბზინვარებს მზის სხივი მწველი ღრებლებს ხეგ-ხეგში მირეკავს ქარი და გულმოსული წველის და წველის... ჯადოსნურ ფუნჯით მონატრულ მთებში თეთრ მდუმარებას გაფანტავს ექო, თუშურ გარმონით ნაზავი დილა დაეფინება დანამულ ბექობს. ვიცო, მომარგებ სურნელის ფარჩას და ყვავილთ ყანის ფერთა სიუნვეს, ჩემი ოცნება მაგ მთებში დარჩა და რას მიპირებს უნდა მიგუხვდე- აპა, მოვდივარ, შემომაგებე ეგ სიდიადე შენი მშვენების, რადგან ზღაპარში ყოფნა მაგემე მე ბარში ყოფნა აღარ შემშვენის.

### ქარი

ჩემი ბაღიდან დამისხლტდა ქარი, შეგძახე ქარო, მისგალ საითო? ჩაგუვლი კაკლებს, ცაცხვებს და ნაძვებს საჭოროოდ და საშუსაიფოდ. მართლაც შეუჯდა რუს კაკლებს ტანში ტოტები ტოტებს შემოანარცხა მერე ცაცხვების ტოტებში შეძგრა, ხან აუწეწა და ხან დაფარცხნა. ველარ იჯერა გული გნაასით, ნაძვების ტევრში გაინაგარდა ჩამოეფლითა წიწვებზე ტანი გაბერწებული პირქვე დაფარდა.

### ჩემს უშილს ბიორბის

შენ დაიბადე დიდთოვლობისას და ჩემს ცხოვრებას შუქი მოჰფინე, სადღაც გაისმა ექო თოფისა, ღმერთს ბიჭის მოსვლა შეატყობინეს. შენ დაიბადე დიდთოვლობისას, შუბლზე ნათელი შუქი გეფინა, ამოუნხნელი იყო სამყარო, სადაც ჯერ კიდევ ტკბილად გეძინა. შენ დაიბადე დიდთოვლობისას, საამო იყო შენი ჩვილობა, უზენაესმა დალოცა ჩვენი სამარადჟამო დედა-შვილობა.


### პაპიანი წინანდალთან

მახსოვს შენი ეზოს ბანი, შუქნათელი მთვარისა; თვალზე სანთლად ჩამომდნარი, დამე წინანდალისა, მონურნულე ვერხვთა წყება, სიმთა ჟღერად ქნარისა, ეზოს ვარდთა სურნელება, ღრუბელთ მღერა მთვარისა. ხის მკლავებში შარიშური, ჭოროკანა ქარისა და რძისფერი დილა ჩუმი, მზის ახელა თვალისა, ბროლნაბნევი ბზინვარება, შენი ეზოს ნამისა, მალულ ხობლთა წიარებად გამოღება კარისა: ოცნებებში ჩაკარგული — პაპიანით ხეაღისა, ედემ-ბალი საარაკო ზღაპრულ წინანდალისა.

### თელავს

ალაზნის ველს დასდგომინარ თავზე უჭკნობ გვირგვინად, ამ ბუმბერაზ მთებმაც ნეტავ როგორ შემოვიბრინა?! გულში როგორ გისუტებენ ცივ გომბორის ქედები, შენს გულმკერდზე გადაშლილა წალკოტი და ედემი. შენს გულმკერდზე გადაიმსვრა მრავალ მტერთა მახვილი, კახეთს დედის კენესა ესმა შენი შემოძახილი! ლეწეს, ჩეხეს, არ დაინდეს დეგგმირებმა მტარგალი, თუმცა შავით შეიმოსა დედის გული მრავალი... მაინც დადგა გამარჯვება გული რასაც ელოდა და თელავიც საქართველოს უკვდავებას მღეროდა.

ნიონის თარი



ეთერ ზარიძე

მეფრინა ღარდი - ღამის მემკობრე

მეფრინა ღარდი - ღამის მემკობრე

ეთერ ზარიძე

როსტომ შერაძემ (ჩემს მეუღლეს)


არ გარდაცვლილხარ, აქა ხარ ისევ, ჩემს გულში გიდევს ბინა, საგაზაფხულო წვიმის წვეთები შენი თგალებით ბრწყინაგვს...

მაყვალა მარბოშვილს

ჩვენ ერთად გვზრდიდა კახეთი, ვიყავით ერთი ხნისანი, შენ ქისტია, მე კი - ხევსური, ქალები, - შვილნი მთისანი...

უუუუუთაჲი სული ანუ ნაჲირული გელნიერგვის ტჲივილი


თუ გსურს, ნამდვილი ტჲივილი იგრობო, სცადე, უარი თქვა საკუთარ ბედნიერებაზე და შენ მიხვდები, რომ სიცოცხლეზე უარის თქმა უფრო ადვილია!



რადგან ყველაფერი, რაც მის სახელს უკავშირდება, იღუპილია და ამაღლებული... ელდინო სალარაძე - მსახიობი, მხატვრული კითხვის ოსტატი - დახვეწილი მანერებითა და გარეგნობით...

ახანაგები

ჩვენო მკითხველნო, მენდეთ! დესპოტური ქვეყნის წინააღმდეგ მებრძოლ გმირთა უფრო საინტერესო, რეალური ისტორიები თქვენ არ წაგიკითხავთ!



იყვნენ (ისინი რუსეთის იმპერიის დაკვეთას რუსებზე უკეთესად აკეთებდნენ). და უშუალოდ შემსრულებლებიც ქართველი ჩინოსნები იყვნენ...

მილოცვა



ვულოცავთ ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატობის წოდებას: პროფესორ ნოდარ ტაბიძეს; ცნობილ ჟურნალისტებს: რუსლან რუსიას, ანზორ ბაბუნაძიას, თენგიზ გაჩეჩილაძეს, ალექო ასლანიშვილს, ფრიდონ დოჩიას, ივანე ჯავახიშვილს.

გიზი სორნაული

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის 1969 წლის კურსდამთავრებულები:

Advertisement for 'კავკასია' (Caucasia) featuring a mountain logo and contact information for 'ივა ჯავახიძე' (Iva Javakhidze).